№ 234
შაბათი, 27 ოქტომბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 234
შაბათი, 27 ოქტომბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	ან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ნადვორნი სოვეტნიკი დოროთეოზ სიმონის ძე და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული წინამძღვრიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათის შვილის

ალექსანდრე დოროთეოზის ძის წინამძღვრიშვილისას

და სთხოვენ ბობრძანდნენ ღვინობისთვის 28, დილის ათ საათზედ, გამოსვენებაზედ საფოსტო კანტორის შენობიდან დაბა ცხინვალს. (2—უ.—2

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ეკეკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბაგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ქ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაკან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ბ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოლინო—ხირურგიული სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ეიწად-მოქმედთა კრების სხდომა მოხდება 25, 26 და 27 ამა ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში. (3—228—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, **კვირა დღეებს** გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბაქელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ბაბაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოხი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

კბილის ექიმი

ალ. გ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9 საათიდგან 2-დე და საღამოთი 5—7-დე.

კვირა-უქმობით 1 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32.

(5—უ.—4)

მ ა კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ახალი ამბავი

*** გუმბრის სადგურიდგან იუწყებიან, რომ 25 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, საქონლის გასაგზავნ კასსიდგან 2,556 მან. და 45 კაპ. მოუპარნიათ.

*** საერო განათლების სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში წინადადება წარუდგენია, რომ მამავალს წელს რამდენიმე სამხატვრო, სამრეწველო და საშუალო განათლების სასწავლებელი იქმნეს გახსნილი. სხვათა შორის, სასპეციალო სასწავლებლები იქმნება გახსნილი კავკასიასა, პოლონეთში და ყირიმშიო.

*** როგორც შაგალის სადგურიდგან იწერებიან, 25 ოქტომბერს, ყარსის რკინის გზის მე-127 ვერსზედ, სამხედრო მატარებელი № 138 ქვის ზვავს წასდგომია და ღიანდაგიდგან გადავარდნილა. აშლილია გზა და დაზიანებულია ხუთი ბარგის ვაგონი. მგზავრთაგან დაშავებულა დარუბანდის მე-154 რაზმის ჯარის-კაცი თომა აფანასევი, რომელსაც სამსახური შეესრულებინა და სახლში ბრუნდებოდა. იმედი აქვთ, 26 ოქტომბრისათვის მგზავრების გადასხდომას მოახერხებენ. პირდაპირი მიმოსვლა-კი უთუოდ 27 ოქტომბერზედ ადრე არ დაიწყება.

*** სენატს ხელ-ახლად განუმარტავს, რომ ქალაქის თვითმმართველობათ ნება არა აქვთ აუკრძალონ მამულის პატრონებს შენობის აგება იმ დრომდის, ვიდრე ახალი ქუჩების გასაყვანად ეს ადგილი თავისს საკუთრებათ არ შეუძენიათ.

*** კვირას, 28 ოქტომბერს, გორის ეპისკოპოსი კირიონი ღვთის მშობლის სახელზედ აგებულს არმაზის ნიშს აკურთხებს მცხეთაში.

*** როგორც „Право“ იუწყება, სენატის განმარტებით, ფაბრიკებსა და ქარხნებს შეიძლება თურმე მაშინვე შეეწეროსთ გარდასახადი, როგორც-კი სამუშაოდ დამზა-

ფელეტონი

„ქალბატონი დე-კამპოდასი“ *).

კომედია ერთ მოქმედებად ჟიულიენ ბერრ დე-ტიურიკისა.

გამოსვლა მერვე.

ჟერმენ, პოლ და ქ-ნი დეპელპონი.

პოლ. ერთი ეს მიბრძანეთ, მამიდავ, დედამიწის რომელ ნაწილს ეკუთვნის ის ქვეყანა, სადაც ბ-ნი დე-კამპოდასი იმყოფებოდა?..

ქ-ნი დეპელპ. ჩემო კარგო, კამპოდასი ცოტა ხნობით თითქმის ყველგან იყო, თუმცა დიდი ნაწილი თავის ცხოვრებისა ველურ ქვეყნებში გაატარა... ამას გარდა კამპოდასი თითქმის ყოველთვის მუშათა შორის ატარებდა დროს და სწავლობდა იმათ ზნე-ჩვეულებებს; ამით აიხსნება იმისი ცოტა არ იყოს მოუხეშაობა...

პოლ. ჰმ!.. ცოტა არ იყოს!..

ქ-ნი დეპელპ. გამოგიტყდები, რომ მაგ გარემოებამ ცოტათი შემაფიქრიანა კიდეც; ვერა ვბედავდი, მიმეთხოვებინა ჟერმენი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, კამპოდასი ისეთის თვალსაჩინო ღირსებებითაა დაჯილდოვებული...

პოლ. უთუოდ აგრე იქმნება!..

ქ-ნი დეპელპ. უპირველესს ყოვლისა ოქროს გულის პატრონია!.. მშვენიერი განათლება აქვს მიღებული!..

პოლ (გაკვირვებული). ჰოო?...

ქ-ნი დეპელპ. მართალია, ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ სამაგიეროდ თუ დაიწყო ლაპარაკი... გარწმუნებ, ცოცხალი ენციკლოპედიაა!..

პოლ. გასაკვირველი არ არის!.. მაგ ხნის კაცს ბევრი რამ უნდა ესწავლა და გამოეცადნა...

ქ-ნი დეპელპ. სწორედ მაგ ხნოვანებამ დამაჩქარებინა საქმე!.. ახალგაზრდა ქმარი მეტად საშიშია ოჯახის ბედნიერებისათვის...

პოლ. ეგ-კი, მე მგონია, იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა თვალით უყურებს ქორწინებას...

ქ-ნი დეპელპ. დამშვიდებული ბრძანდებოდე: დე-კამპოდასი თუმცა ხანში შესული კაცია, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას აჯობებს ჯერ კიდევ... ძალიან ღონიერია და ისეთი მამაცი, რომ მეორეს ვერა ჰნახავ მაგისთანას... უნდა ყური დაუგდო იმის ლაპარაკს... ერთხელ თორმეტ შავ-კანიან ყაჩაღისათვის კუდით სულ ქვა უსროლინებია!...

პოლ. თორმეტისთვის!?.. (უნებურად წამოიძახებს). ეშმაკმა იცის მაგისი თავიდა ტანი!..

ჟერმენ. დამეთანხმეთ, რომ მაგასთან გავლა სასახელოდ უნდა ჩასთვალოს კაცმა...

პოლ (დაცინვით). რასაკვირველია, თუ თორმეტის შავ-კანიან ყაჩაღის თავ-დასხმის განსაცდელი მოელის...

ქ-ნი დეპელპ. დაიცინე, დაიცინე, მაგრამ, გარწმუნებ, ახალგაზრდა ქალები რომ მაგისთანა ქმრებს ხშირად ირჩევდნენ, ქარაფშუტა-მოარშიყენი უფრო ნაკლებ დაედევნებოდნენ სხვის ცოლებს...

პოლ (ნაწყენი). ნება მიბოძეთ, საყვარელო მამიდავ, მოგახსენოთ, რომ ეს... თქვენი სიტყვები რომ გავიმეორო... ქარაფშუტა-მოარშიყენი პირველ ყოვლისა მამაცნი და გულადნი არიან... ბევრ ისეთსაც ვიცნობ, რომელნიც, თუ კი მოისურვებენ გათხოვილ ქალის წინაშე აღტაცების გამოთქმას, იმის კვლევა-ძიებას არ შეუდგებიან, ქალის პატივცემულ მეუღლეს ბევრი თუ ცოტა შავ-კანიანი ამოუჟლეტია!.

ქ-ნი დეპელპ. რა არ მოხდება ამ ქვეყნად!.. არიან, რასაკვირველია მამაცნიც, მაგრამ მაინც მხნე ქმართან პირის-პირს რამდენისამე წუთის გატარების შიში ბევრ ახალგაზდას ააღებინებს განზრახვაზედ ხელს... (პაუზა). მაპატიე, ჩემო კარგო, უნდა წავიდე მზარეული დავაჩქარო... მანამდე ჟერმენ გაართე... (თავისთის) ვნახოთ ერთი, მეგობარო, როგორ გახვალ აქედგან სამშვიდობოს!.. (გადის).

გამოსვლა მეცხრე

ჟერმენ და პოლ.

პოლ (გაჯავრებული). უცნაური ადამიანია დეიდა ჩემი!..

ჟერმენ. ვითომ?..

პოლ. რასაკვირველია... იმასა ჰგონია, რაკი წინ-და-წინვე შემატყობინა, რომ კამპოდასი მამაცი კაცია, მე თქვენ აღარ მოგეკარებით და არშიყობას აღარ დაგიწყობთ...

ჟერმენ. ჰფიქრობდით კი?..

პოლ. პირ-იქით, აზრადაც არ გამივლია, მაგრამ ეხლა... ეხლა კი უნდა შეუდგე ამ საქმეს, წინაღმდეგ შემთხვევაში სრული საბუთი გექმნებათ მხდალ კაცად ჩამთვალოთ...

ჟერმენ. რათა გგონიათ ეგრე?... თუ კი მოიპოვება ქვეყანაზედ ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლიან ყურადღება არ მომაქციოს და ამავე დროს არც მხდალის სახელი დაიმსახუროს, ასეთი კიცი უეჭველად თქვენ უნდა იყოთ...

პოლ (გაოცებული). მეე?..

ჟერმენ. დიაღ, თქვენ... ის გარემოება, რომ ამ ორის წლის წინად ჩემს ცოლად შერთვაზედ უარი განაცხადეთ, აშკარად მოწმობს, რომ თქვენ ჩემდა მომართ არაფერს არა ჰგრძნობთ...

პოლ. მაშ, თქვენის აზრით, მე არაფერი არ მიგრძვნია?..

ჟერმენ. არაფერი...

პოლ (გაშტერებით უყურებს ჟერმენს. პაუზა). ჰმ!.. დარწმუნებული ბრძანდებით, რომ უარი ვსთქვი?..

ჟერმენ. რასაკვირველია!...

პოლ. მაშ, თქვენის აზრით,

*) იხ. „ივერია“ № 232.

დებულნი იქმნებიან, თუნდაც არცკი მუშაობდნენ.

*** ფუნიკულერის გაყვანას მამადავითის მთაზედ უკვე შეუდგნენ. საჭირო ფული უსახელო საზოგადოებას გამოუგზავნია და ამშენებლად ინჟენერი ბლანში მოუწვევიათ. როგორც ფიქრობენ, ფუნიკულერი მომავალს წელს გაზაფხულზედ უკვე მზად უნდა იყვეს. ფუნიკულერის ძირის სადგურის საძირკველს დეკემბერში აკურთხებენ.

*** როგორც სატანტი ქალაქის გაზეთები იუწყებიან, არტისტის ევდოკიმოვისათვის მაქსიმ გორკის ნება დაურთავს, რომ მოთხრობა „თომა გორდეევი“ დრამათ იქმნეს გადაკეთებული. დრამატიულს ცენზურას უკვე ნება დაურთავს, რომ „თომა გორდეევი“ ექვს მოქმედებიან და ათ სურათიან დრამათ იქმნეს გადაკეთებული და წარმოდგენილი.

*** სამკურნალო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული, რომ მკეთრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სოფლის მცხოვრებთაც მონაწილეობა მიაღებინონ.

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგე სთხოვს გამოფენის კომიტეტს სკოლის შენობა, რომელშიაც დღეს გამოფენის ბიუროა მოთავსებული, 1-ლ ნოემბრისათვის უთუოდ დასცალონ, რადგანაც ამ დღიდგან სკოლაში სწავლა დაიწყება.

*** ტფილისის ტრამვაის მსახურებსა და კონდუკტორებს საზოგადოების დირექტორისათვის თხოვნა მიუციათ კვლავ დაიწყოს მოქმედება ტრამვაის დამხმარებელმა კასსამ, რომელიც ავადმყოფობისა და სხვა ამ გვარ გაჭირვების დროს ეხმარებოდა ხოლმე წინად მსახურთ და ამ წინაზედ მომხდარ არეულობისა გამო მოსპო მოქმედება. ამასთანავე ითხოვენ, კასსას წინანდებურად საზოგადოება ფულითაც დაეხმაროს.

*** ტფილისის საპატიმროებში ამ ჟამად სულ 744 პატიმარი ითვლება; ამათგან საგუბერნიო საპატიმრო ციხეში 328 კაცი ზის, რომელთაგანაც 21 დედაკაცია, საპატიმროს საავადმყოფოში – 63 მამა-კაცი და 6 დედა-კაცი, სულ 397 პატიმარი. მეტეხის ციხეში ზის 249 პატიმარი, რომელთაგანაც ორი დედა-კაცია, საპატიმროს საავადმყოფოში 92 მამაკაცია, 6 დედა-კაცი, სულ 347 პატიმარი.

*** მიწად-მომქმედთა კრების სხდომას 25 ოქტომბერს განსახილველად წარუდგინა მოხსენება პირველად ბ-ნმა კომენეცკიმ, შემდეგ ბ-ნმა ზავაროვმა ერევნის გუბერნიაში წყლის არხების გაყვანის შესახებ. ამ მოხსენებების შესახებ კრებას არავითარი გარდაწყვეტილება არ მიუღია, რადგანაც სხვა ამგვარი მოხსენებაც აქვს მოსასმენი.

*** დღეს, 27 ოქტომბერს, ავჭალის სახალხო წარმოდგენების სადგომში ქართულ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ხუთ-მოქმედებიან დრამას „ორ ობოლს“.

*** გუშინ საღამოს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმე.

*** ხვალ, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ მოხდება პირუტყვების მომშენებელთა კრება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

*** ყოფილ ქალაქის მოურავის გ. ევანგულოვის გარდაცვალებიდგან 40 დღის შესრულების დღეს გუშინ, 26 ოქტომბერს, სომეხთა მოღვინის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის გამგეობის წევრნი, ქალაქის მოურავის მოადგილე და სხვანი.

*** 25 ოქტომბრის სხდომაზედ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებლად დროებით დანიშნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზედ სწავლა-დამთავრებული ბ-ნი აბულაძე, ხოლო ისტორიის მასწავლებლად ბ-ნი კატანიანცი.

დამაკვირდი

—

პლატონ ფილოსოფოსს უთხრეს: „შენზე ცუდი ხმები დადის ხალხშიო.“

— „სხვა რა გზაა! უნდა ვეცადო ისე მოვიქცე, რომ ეგ ხმები აღარავინ დაიჯეროს“

როცა არისტოტელს უთხრეს ეგევე, მან უპასუხა: „ეგ ხმები რომ მართალი იყოს, მარტო ლანძღვაგინებას არ მაკმარებდნენ, ჯოხითაც მცემდნენ, რომ გამომაკეთონ“.

ამისთანავე შემთხვევაში ფილოსოფოსმა ეპიქტეტმა უპასუხა: „სჩანს დანარჩენი ჩემი ბოროტებანი არ იციან, თორემ ჩემზე უფრო უარესს იტყოდნენო“.

ტიტს-კი უპასუხნია: „თუ ჩემზე ცუდს ჭლაპარაკობენ უსაბუთოდ, მე აინუნშიაც არ მომდის; თუ ჯავრით მოსდით, მე მაგისთანა კაცები მებრალებიან; თუ მართალს ამბობენ, მე იმათი მადლობელი ვარ და თუ ყოველივე, რასაც ჩემზედ ამბობენ, ცილისწამებაა, მე იგი შემინდვია“.

ქართული თეატრი

—

„ვენეციელი ვაჭარი“, დრამა 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმ. დ ყიფიანის მიერ.

25 ოქტომბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა, კ. ყიფიანის მონაწილეობით, წარმოადგინა „ვენეციელი ვაჭარი“. ამ საღამოს წარმოდგენამ მკრთალად ჩაიარა: ბევრმა არტისტმა როლი არ იცოდა, სცენაც კარგად ვერ იყო მოწყობილი. მეორე და მესამე მოქმედებაში, მაგალითად, ყუთები ისე იდგა, რომ მაყურებელნი ვერაფერს ჰხედავდნენ. ამას გარდა, როლებიც ვერ იყო კარგად განაწილებული: პორციას როლი ქ-ნ კარგარეთლისთვის უნდა მიენდოთ და არა ქ-ნ ლეჟავასათვის. კარგად შეასრულა ამ საღამოთი თავისი როლი ბ-ნმა კ. ყიფიანმა. დანარჩენ არტისტებს შორის ყველაზედ მეტი ყურადღება მიიქცია ბ-ნმა აწყურელმა ლანსლოს როლში.

შემდეგ წარმოდგენისათვის კ. შათირიშვილის ბენეფისია დანიშნული. წარმოადგენენ ორ ახალ პიესას: ჰაუპტმანის დრამას „ავადმყოფნი“-ს და კომედიას „ოქროს ევა“-ს. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ბ-ნნი მესხიშვილი და ყიფიანი.

დაბალ სოფელი

—

ს. ვანი (ქუთაისის მაზრა). სოფ. ვანის ერთს დიდს ნაკლს გზის უქონლობა შეადგენს, თუმცა აქედგან სამტრედიამდე დილიჟენებიც დადიან. მიზეზი ამ უგზოობისა მდ. სულორია, რომლის კალაპოტიც ისეა გაფუჭებული, რომ ყოველად მოუხერხებელია იმაზედ ხიდი გაკეთდეს ან სხვა რაიმე საშუალებით გზა გავიდეს. უნდა მოგახსენოთ, რომ დ. ვანიდგან ბაღდადისა და სამტრედიის გზამდე, რომელიც ახლა გვარიანად არის შეკეთებული ბ-ნის მაზრის უფროსის მეცადინეობით, იქნება სულ ერთ ვერსზედ ნაკლები. და აი, ეს პატარა მანძილი ჰხდის მთლად მოუხერხებლად დ. ვანიდგან თავისუფლად გამოსვლას, ასე რომ, როცა მდინარე ადიდდება ხოლმე, სოფელი მთლად მოწყვეტილია ქვეყნიერებას. ერთად-ერთი საშუალება ამ გარემოების თავიდგან ასაცდენი დ. ვანიდგან გამომავალი წვრილი გზაა პატარა მდინარე (ღელეზედ) ჭიშურაზედ, რომელიც აქედგან აზ. ახვლედიანების ეზოებზე გადადის, მერმე გლეხთა ჩუბუნიძეებისა და აზ. სათირიშვილების სამოსახლოებთან ჩაივლის და შეუერთდება ბაღდადისა და სამტრედიის გზას; ეს მანძილი [illegible] უმეტეს ერთის ვერსისა. მდ. ჭიშურაზედ რომ ხიდი გაკეთდეს (ძლიერ იაფად დაჯდება) და შემდეგ ეს გზა ცოტათი გაფართოვდეს, მშვენიერი გზა გაკეთდებოდა დ. ვანიდგან ბაღდადისა და სამტრედიის შარამდე.

გარდა ამისა, სამტრედიისაკენ მიმოსვლას დიდად ხელს უშლის მდ. რიონის ცუდი ბორნებიც, რომლებზედ გასვლაც სახიფათო და საშიშოა. იმედია, ბ-ნი მაზრის უფროსი თ. დადიშქელიანი ამ გარემოებებსაც ყურადღებას მიაქცევს და ჯეროვანს განკარგულებას მოახდენს, რომ დ. ვანის მცხოვრებლებს და მთლად ვანის საზოგმდოებისას ამდენს ხანს ჩაკეტილი კარი გაეღოს და გაკეთდეს მდ. ჭიშურაზედ ხიდი და გზა ბაღდადისა და სამტრედიის შარა გზამდე. ამასა საჭიროებს არა მარტო ვანის საზოგადოება, არამედ სხვებიც: დვალიშვილებისა, უხუთისა, გორისა და სხ., რომელთაც დიდი დამოკიდებულება აქვთ დ. ვანთან, როგორც მთელი მხარის ვაჭრობის ცენტრთან. ურიგო არ იქმნება ამასთანავე ყურადღება მიექცეს მდ. რიონზედ აზ. კახიანების ბორანს, რომლის მისავალშიაც ხიდობას წვრილი და სახიფათო ხე ეწევა, საიდგანაც არა ერთი და ორი გადმოვარდნილა გადასვლის დროს.

რაიცა შეეხება სწავლა-განათლებას, ვანის საზოგადოება (შესდგება 1200 კომლისაგან) ძლიერ არის უკან ჩამორჩენილი. არის აქ ერთადერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც აგერ თითქმის ოცი წელწადია გაუხსნიათ და აქამომდე ორ-კლასიანად გადაკეთება ვარ ჰღირსებია, თუმცა-ღა მოთხოვნილება ფრიად დიდია.

ეს ორი წელიწადია თითქმის, საზოგადოებამ დაადგინა სკოლა ორკლასიანად გადაკეთდეს და თხოვნაც იქმნა გაგზავნილი, სადაც ჯერ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქამდე ეს საგანი არ იქმნა არ გარ-

---

არაფერი არ მიგრძვნია მაშინ, როდესაც მთელი საღამო წელზედ ხელ-შემოხვეული დარბაზში დაგარბენინებდით, როდესაც თქვენი გაშიშვლებული მკლავი ოდნავ ჩემ მხარს ეხებოდა... (მიუახლოვდება) მაშ ის აზრი, რომ სამუდამოდ ჩემი იყოთ, ბედნიერების სიხარულს არა მგვრიდა?..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. გთხოვთ, ბატონო...

ᲞᲝᲚ. შემცდარი ბრძანებულხართ!.. იმ საღამოთი უთუოდ განგებ ცუდი ტანისამოსი ჩაგაცვეს, დაგამახინჯეს... დამეთანხმენით, არც ისეთი სულელი ვარ, რომ...

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. ეხლა იმიტომ ლაპარაკობთ ეგრე, რომ არაფრის განსაცდელი არ მოგელით... ზოგიერთებმა სხვის ცოლების უკან დევნა ხელობად გაიხადეს!.. (ადგება) გარწმუნებთ, იმ საღამოთი, როდესაც პირველადა მნახეთ, არც ცუდი ტანისამოსი მცმია და არც დამახინჯებული ვყოფილვარ... მამიდა სულაც არა ცდილა ჩემს გაუშნოებას... პირ-იქით... დიახ, ეხლა თქვენ გართობთ გაცვეთილ კომპლიმენტებით ვარჯიშობა, არშიყობა უსაქმობისა გამო, რომ შემდეგ მეგობართა წრეში კვეხნას შეუდგეთ... ი რა გნებავთ, ბატონო ჩემო, და არა სიცოცხლის შეწირვა ჩემთვის... ამისთვის არ გყოფნით...

ᲞᲝᲚ (თავისთვის). არ ვიცი, რა მომდის!..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. არ მოგწონდით?.. ეს თქვენი საქმე ოყო, ყველას თავისი გემოვნება აქვს... მაგრამ ბოლომდე უნდა დასდგომოდით ამ გზას და ლაზღანდარობა არ დაგეწყოთ... არ უნდა მოსულიყავით ორის წლის შემდეგ თქვენის კომპლიმენტებით და ჩემზედ არ გეცადნათ უკვე სხვა ქალებზედ ნაცადი ძალა თქვენის მჭერმეტყველებისა... (პოლს რაღაცა უნდა სთქვას) არა, არა!.. გთხოვთ ნულარ განაგრძობთ. თქვენთვისვე საჭიროა ეს... იმდენს ვეცადე, რომ დაგივიწყეთ; გავა კიდევ ცოტა დრო და, გარწმუნებთ, საბოლოოდ მოგიშორებთ ჩემის ხსოვნიდგან...

ᲞᲝᲚ (აღტაცებული). დამივიწყეთ?.. მაშ წინად ჰფიქრობდით ჩემზედ?.. მართალია?..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. (დამშვიდებული). არც ჰო და არც არა... მამიდა ჩემმა, რომელსაც გულით უნდოდა ჩვენი შეუღლება, ყურები გამომიჭედა... მუდამ თქვენის ვითომდა ღირსების ქება-დიდებაში იყო... გულ-უბრყვილო ბავში ვიყავი, იდეალს ვეტრფოდი და აი, მამიდას წყალობით, ჩემი ოცნება თქვენს გარეშემო ტრიალებდა...

ᲞᲝᲚ. ეხლა-კი ჩემი ადგილი ბ-ნმა დე-კამპოდასმა დაიჭირა?..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. როგორცა ჰხედავთ!..

ᲞᲝᲚ. და, აი, ის.., ბ-ნი დე-კამპოდასი თქვენი ქმარია?.. ხა, ხა, ხა! მაპატიეთ, თავი ვერ შემიკავებია, თუმცა... ყოველივე ეს სასაცილო იქმნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს!.. თქვენ და მათუსალი?!. ხელი გულზედ დაიდეთ და გამოტყდით, ნუ თუ არ გაღელვებთ იმისი ლაპარაკი, ქცევა?..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. არა... მივეჩვიე...

ᲞᲝᲚ (გაოცებული). არა?.. (პაუზა) არ მესმის... სწორედ მოგახსენოთ არ მესმის... ასე მგონია, თითქოს ფიდიას შესანიშნავ ქანდაკების ან რაფაელის პოეტიურ ნაწარმოების შელახვას ვესწრებოდე... (ქერმენის გვერდით ჩამოჯდება და იმის ხელს ხელში დაიჭერს) ჰმ! შემეძლო ეს მშვენიერი ყვავილი მომეწყვიტა...

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ (ხელს გამოჰგლეჯს). რათა იმ წამსვე გადაგეგდოთ სხვის გულისათვის...

ᲞᲝᲚ. თქვენის უნდობლობით შეურაცხებას მაყენებთ... გეფიცებით, ასე გულ-წრფელად აღტაცებული არასოდეს არა ვყოფილვარ!..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. ბარემ ისიც დაუმატეთ, რომ გიყვარვართ...

ᲞᲝᲚ. მზადა ვარ ეგეცა ვსთქვა!..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ ერთის დღით, არა?..

ᲞᲝᲚ. სამუდამოდ!.. თვით მე მაოცებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეხლა ჩემი გრძნობა ძლიერია...

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ (ღიმილით). როგორც გატყობთ, უცბად გჩვევიათ ანთება!..

ᲞᲝᲚ. ვინ იცის?.. იქნებ სიყვარული, რომელიც აქამდე ვერ შევნიშნე, პირველის შეხვედრიდგანვე ჩემის გულის კუნჭულში იყო დამალული... ნაკვერჩხალი ნაცარში იყო ჩაფლული, დღეს ნაცარი გაიფანტა და ნაკვერჩხალი დიდ ცეცხლად გადაიქცა!.. (ქერმენის წინ მუხლებზედ დაეცემა. შემოდის ბენუა, პოლ ძლივს ასწრობს წამოდგომას. თავისთვის). რა ეშმაკმა შემოახეტა ეხლა!..

გამოსვლა მეათე.

იგინივე და ბენუა.

ᲑᲔᲜᲣᲐ. უკაცრაოდ... სახარჯო წიგნაკისთვის მოვედი... ქალბატ... ჩემს მამიდას დარჩა სტოლზედ...

ᲞᲝᲚ (თავისთვის). როგორც ვატყობ, ბიჭის როლს ასრულებინებენ ამას...

ᲑᲔᲜᲣᲐ (წიგნს აიღებს და უკან დაბრუნდება. პოლთან გავლის დროს, შარვალზედ შეჰხედავს). ღმერთო ჩემო, როგორ მოგისვრიათ შარვალი!..

ᲞᲝᲚ. ნუ თუ?.. (შეჰკრთება. ხელით იწმენდავს).

ᲑᲔᲜᲣᲐ. მოითმინეთ!.. (ხელად გავარდება და ტანისამოსის საწმენდს შემოიტანს).

ᲞᲝᲚ. ნუ შესწუხდებით... გთხოვთ... (ბენუა მივარდება, დაიჩოქებს და წმენდას დაუწყებს. თავისთვის). თქვენი ჭირიმეთ, ეს რა ყოფილა?..

ᲑᲔᲜᲣᲐ (წამოდგება). აი, ეხლა სუფთაა... აღარაფერია... სადილი თხუთმეტის წამის შემდეგ იქმნება მზად!.. (გადის).

ᲞᲝᲚ (გაშტერებით უყურებს ქერმენს). ნუთუ ეს კაცი თქვენი ქმარია?..

ᲥᲔᲠᲛᲔᲜ. როგორც გატყობთ, არ მოგწონთ...

ᲞᲝᲚ. პირდაპირა სთქვით, გეჯავრება-თქო... მაკვირვებს, რომ თქვენც არა ჰგრძნობთ ამას..

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑIᲑᲚIᲝᲗᲔᲙᲐ

...წყდა, თუმცა სასწავლო წლის ...ამდეგს ყველა დარწმუნებული იყო, ...ომ გადაკეთდებოდა. რაც შეეხება ...ლების განათლებას, ეს ხომ სულ ...ავის ახსენდება, თუმცა ბევრია ...წადინებული ქალების სკოლის ...ხსნასა.

...დ. ვანში ამ წლის დამდეგს ...მნახველ-გამსესხებელი კასსა გაიხ...ა, რომლის მართველათაც მღ. ...ა ს. დ-შვილი ამოირჩიეს. მღ. ...ს ისე სინიდისიერათ მიჰყავდა ...ქმე, რომ რამდენისამე თვის განვლობაში ექვსი ათასი მანეთი ...ეკრიბა და კიდევაც დარიგდა ...ხად. ახლა მამა სერაფიონმა ...რდასწყვიტა სწავლის გაგრძელება სასულიერო აკადემიაში და ...ს გამო კასსის მმართველობა ...ს თავი დაანება. წარმოიდგი...თ, მთელს ვანის საზოგადოებაში ...ი მოადგილე ვეღარ მონახეს: ...კი სანდო და საქმის მცოდნე. ...ენის აზრით, მმართველათ ისევ ...ნდო კაცის ამორჩევა ემჯობინე...და, თუნდაც ბუხგალტერია არა ...ცოდნოდა, როგორც ახლა ამოირ...ეს, მაგრამ კასსის მმართველობამ ...უოდ უნდა დაიქირავოს ვინმე ...ბუხგალტერიის მცოდნე. იმედია ...ალი მმართველიც ძველისავით ...ყაითობას გამოიჩენს.

ანი

—

ᲕᲔᲯᲘᲜᲘ (სიღნაღის მაზრა). წლე...ლ ჩვენკენ ჭრელად მოვიდა ...ოსავალი. პურის მოსავალი ნაკ...ები იყო. ღვინის მოსავალი ზოგს ...დენი მოუვიდა, რომ ჭურჭელი ...ეყო, და ზოგს კიდევ—სულ არა...რი. ამის მიზეზი ზოგან სეტყვა ...ო, ზოგან კიდევ უწამლობა. ...ველი ძლიერ ადრე დაიწყეს, ასე ...ომ მოხუცებულებს არ ახსოვთ ...ეთი ადრეული რთველი; ენკენის...ის ექვსამდე თითქმის სულ დაკ...ფილი იყო ვენახები და მოგება...მ მხოლოდ ის დარჩა, ვინც უფ...ო ადრე დაკრიფა, რადგან ყურ...ნი თან-და-თან ხმებოდა. გამოსა...ლი ნაკლები ჰქონდა, რადგან ...ე შეიწო, მაგრამ რაც დადგა სა-

განგებო ღვინოა. ღვინის ფასები მცირეა. სირაჯის ჭაჭანება არა რის. მათ ხარბად იყიდეს შარშან ღვინოები და ეხლა შეჰყურებენ ძველ ღვინოებს. ექვს თუმანში იყიდება მშვენიერი ღვინო. ჭაჭის ფასი ხომ სახსენებელი არ არის. აქაურ წურბელებმა დააგდეს ათასნაირად ხმა აქციზის შესახებ. ისე დააფოლეს ჭაჭის ფასი, რომ სულ მუქთად ჩაიგდეს ხელში. წინეთ სამ მეხუთედს აძლევდა ქვაბის პატრონი ჭაჭის პატრონს, ეხლა-კი მესამედის მეტს არ აძლევენ.

არა მგონია, სხვა რომელსამე სოფელში ისეთი გახშირებული ქურდობა იყოს და საბძლების წვა, როგორც ვეჯინშია. დღე არ გავა, რომ ღვინო არ მოიპაროონ, კვირა არ გავა, რომ სამი და ოთხი საბძელი არ დასწვან მტრობით. საქონელს ხომ მუსრი გაავლეს, ზედ შუა გზაზედ ხოცვენ უშიშრად. საჭიროა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. მეზობელს მეზობლისა ეშინიან. ხმამაღლა ვერ ულაპარაკნიათ იმის შიშით, რომ ან დამიწვამენ ან მომპარავენ რასმეო.

პირდაპირი ყაჩაღობაც გახლავთ გავრცელებული. ამ გაზაფხულზედ შეუცვივდნენ მიტო ანდრონიკაშვილს და რაც რამ ჰქონდა, სულ მთლად წაიღეს. ერთ გლეხს დაეკარგა ხარი და სწორედ იმავე დროს მამასახლისის ხარიც მოეპარათ. დაედევნა მამასახლისი და ვაქირის ბოლოში იპოვნა. არ ვიცი-კი როგორ მოხდა და მამასახლისმა ამ გლეხს საპოვნელაში ერთი თუმანი ფული და ერთი კოდი პური გადაახდევინა. ქურდი-კი არსადა სჩანს.

სამრევლო სკოლაც თითქო არსებობს, თითქოს არა, რომელიც პატივცემულის მღვდლის ასათიანის მეცადინეობით იქმნა გახსნილი. მართლაც-დ ამ საქმეში მღვდელს დიდი ღვაწლი მიუძღვის: თვითონ თავისის მეცადინეობით შეჰკრიბა რამდენიმე ბავშვი თავისს სახლში, მთელი ორი ზამთარი თავი შეივიწროვა და თავის ცოლშვილით ერთ პატარა ოთახში მოემწყვდა. დიდი ოთახი დაუთმო ბავშვებს და თითონვე ასწავლიდა, ასე რომ თითქმის თავისს ჯიბიდგან ჰხარჯავდა ყველაფერს, რაც მოუნდებოდა. ამ ზამთარს ახლა კოლაკის მთავრის ქალი ირემაშვილი მიეშველა, რომელიც უსასყიდლოდ დადიოდა თითქმის ოთხის ვერსის მანძილიდგან ყოველ დღე და ბავშვებს ასწავლიდა. ეხლა ხმა დადის, ვითომ სამრევლო სკოლის მმართველობა ამ პატივცემულს მასწავლებელს ქალს მცირეოდენს ჯამაგირს უნიშნავდეს. ღმერთმა ჰქმნას!

ივ. მეედლიშვილი

უცხოეთი

—

ᲚᲘ-ᲮᲣᲜ-ᲩᲐᲜᲒᲘ.

როგორც გუშინდელ დეპეშებიდგან უკვე უწყიან მკითხველებმა, 25 ოქტომბერს პეკინში გარდაიცვალა ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწე და ცნობილი დიპლომატი ლი-ხუნ-ჩანგი. ექვი არ არის, ჩინეთმა ლი-ხუნ-ჩანგის სიკვდილით ძალიან ბევრი დაჰკარგა: თითქმის მთელი ორმოცი წელიწადი ეს კაცი სათავეში ედგა ჩინეთის საგარეო და საშინაო საქმეებსა და ფაქტიურად თითქმის ის იყო დიდის ჩინეთის მბრძანებელი. ლი-ხუნ-ჩანგს დიდი სამსახური მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე. არა ერთხელ და ორჯელ დაუხსნია ლი-ხუნ-ჩანგს ჩინეთი გაჭირვებისაგან, არა ერთხელ და ორჯელ აუცდენია კარზედ მიმდგარი განსაცდელი. ნიჭიერი, ცხოვრებაში გაწვრთნილი და გაფოლადებული, გამოცდილი და მოხერხებული დიპლომატი, ლი-ხუნ-ჩანგი ერთად-ერთი კაცი იყო ჩინეთში, რომელიც ევროპის დიპლომატიასთან გამკლავებას ახერხებდა და რომლის მოტყუება და ყინულზედ გაცურებაც ევროპიელთა წარმომადგენელთ არ ძალ-ედვათ.

ლი-ხუნ-ჩანგი დაიბადა 1823 წელს. იმისი მამა უბრალო სოფლის კაცი იყო. ჩინურ წესსზედ ლიმ კარგი განათლება მიიღო. პეკინში საკონკურსო ეგზამენის დაჭერის დროს 20,000 კანდიდატთაგან გამარჯვებული ის გამოვიდა. პირველად ლიმ ყურადღება მიიქცია და ნიჭიერის სარდლის სახელი მოიპოვა ტაიპინგების აჯანყების დროს. აქედგან იწყობა ლის სახელმწიფო მოღვაწეობა. რამდენსამე პროვინციაში იგი ვიცე-კოროლად იყო და ბოლოს სახელმწიფო კანცლერადაც იქმნა დანიშნული. უცხო-სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას რამე შეტაკების დროს ყოველთვის ლი ხუნ-ჩანგს ანდობდნენ. 1872 წელს ლი-ხუნ-ჩანგს ევროპის სახელმწიფოებთანა ჰქონდა მოლაპარაკება, 1876 წელს—ინგლისთან, 1895 წელს—იაპონიასთან, ხოლო ამ ბოლოს დროს ევროპის დიდ სახელმწიფოებთან. ლი-ხუნ-ჩანგმა გაწვრთნა ევროპიულად ჯარი, გაიყვანა რკინის გზები, ტელეგრაფები, დააარსა თოფხანები, სამხედრო სკოლები, საავადმყოფოები და სხვა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ. ინდოეთში შიმშილთან მებრძოლთა კავშირს განუცხადავს ინდოეთის საქმეების მინისტრს, ლორდს გამილტონს, წარუდგინოს მოხსენება იმის შესახებ, რომ გამოკვლეულ იქმნ ს მიზეზები პერიოდულ სენად გადაქცეულ შიმშილობისა ინდოეთში და გამოინახოს ზომები ამ შიმშილობის მოსასპობლად. ამ მოხსენებაზე ხელს აწერენ კენტერბერის არქიეპისკოპოსი, ბევრი ცნობილი დეპუტატი, მეცნიერების წარმომადგენელნი და სხვანი. მოხსენების ბოლოში ნათქვამია: „ამ გამოკვლევას წმინდა სამეცნიერო ხასიათი აქვს და პოლიტიკურ დასებთან არავითარი კავშირი არა აქვს; ჩვენ გვსურს მხოლოდ მხარი დაუჭიროთ ინდოეთის მთავრობას დიდს ეროვნულს უბედურებასთან საბრძოლველადო“.

— როგორც მკითხველებმა უწყიან, კიტჩენერის უკანასკნელის პროკლამაციის საპასუხოდ ბურ-ნეულ ... ...

მოკლებულია ის ხმა, ვითომც რუსეთს თანახმობა გამოეცხადებინოს კრიტის საბერძნეთთან შეერთების შესახებ; ამ საგანზე ლაპარაკიც-კი არა ყოფილა; ჯერ მხოლოდ კუნძულის ადმინისტრატიულ ავტონომიის შესახებ ჰქონდათო მსჯელობა.

ჰოლლანდია. „Berl. Tagebl.“-ის აზრით ჰოლლანდიის მუშებისაგან განძრახული ბოიკოტი ინგლისის გემებისა აღსრულებულ ვერ იქნება. წარსულს წელს ჰოლლანდიის ნავთსაყუდლებში სულ 10,952 გემი ყოფილა და იმათგან 4,700-ს ინგლისის ბაირაღი უტარებია. ინგლისის გემებს რომ ხელი აღარ ახლონ მუშებმა, თითონ უფრო დიდს გაჭირვებაში ჩაცვივიან და, ძალა-უნებურად, მალე თავიანთს განძრახვას თავს დაანებებენო, ამბობს იგივე გაზეთი. ამსტერდამში სხვა-და-სხვა ქალაქებიდამ სულ დეპუტატების უკანასკნელს სხდომაზე უმრავლესობა ბოიკოტის მომხრე აღმოჩნდა; ერთს დელეგატს, სოციალ-დემოკრატს, განუცხადებია, ეს განძრახვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღსრულებული იქმნას, თუ ინგლისის მუშებმაც მხარი მოგვცესო.

უურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

დიდის რევოლიუციის შემდეგ რაინდთა კოშკები საფრანგეთში უწინდელ პატრონთა ხელიდგან სხვათა ხელში გადავიდა. წინანდელმა პატრონებმა—წარჩინებულმა ნაზირ-ვეზირებმა—თავიანთი ადგილი დაუთმეს გამდიდრებულ კომერსანტებს, ზოგგან გლეხებს. ასევე მოხდა მეღვინე-მევენახეობის საქმეში. შესანიშნავი ვენახები, რომლის ღვინოებიც მთელ დედამიწის არისტოკრატთა სტოლებს ამშვენებდნენ, დღეს სხვის საკუთრებას შეადგენენ. ცნობილი „შატო-ლაფიტი“ მეორე იმპერიის დროს როტშილდებმა ჩაიგდეს ხელთ. „შატო-მარგო“ იმავე დროს მდიდარმა ფინანსისტმა გრაფმა პილლევილმა შეიძინა. „გო-ბრიონი“ დიდხანს ლარრიენების გვარს ეკუთვნოდა, დღეს-კი გრაფ ლე-ლაბორდ-ნოგეცს ეკუთვნის. „შატო-ლატურს“ რამდენიმე პატრონი ჰყავს—დე-ბომონი, გრაფი კურტილონი და სხვანი. „სენტ-ემილიონი“ რამდენიმე მეღვინე—გლეხის საკუთრებას შეადგენს. ბორდოს თეთრ ღვინოებს შორის უპირველესი შატო-იკემია. ამ ღვინოს პატრონი რამდენიმე საუკუნე სოვაჟ-დიკემის გვარი იყო, მაგრამ მე-18 საუკუნეში იგი მემკვიდრეობით მარკიზ ლიურ-სალიუსის ხელში გადავიდა. ბურგუნდიაში ძველი ფირმები გაჰქრა. დღეს იქ ვენახები უმთავრესად წვრილ მრეწველთა ან გლეხთა ხელშია. რაც შეეხება შამპანიურ ღვინოებს, ამ ღვინოებს მხოლოდ მდიდარი ფირმები ამზადებენ.

* * *

ნობელის სახელის პირველ პრემიებს მიუსაჯენ 10 სექტემბერს. თითო პრემია 150,000 კრონისაგან შესდგება. შეიძლება თვითეული პრემია რამდენიმე კაცს მიესაჯოს. პრემიასთან ერთად დაჯილდოებულს მიეცემა დიპლომი და ოქროს მედალი. ისინი, ვინც პრემიას მიიღებენ, ვალდებულნი არიან ექვსის თვის განმავლობაში სტოკგოლმსა ან ქრისტიანიაში ჩავიდნენ და ლექცია წაიკითხონ.

* * *

შეერთებულ შტატების სახალხო განათლების უწყებას ამას წინად გამოუქვეყნებია ანგარიში წიგნ-საცავთა შესახებ. სულ შტატებში 5,383 წიგნთ-საცავი ყოფილა. 1000 ტომზედ ნაკლები არც ერთ წიგნთ-საცავში არ არის თურმე. უფრო მდიდარია წიგნთ-საცავებით ნიუ-იორკისა და მასაჩუზეტის შტატები, თვითეულში 571 წიგნთ-საცავია. წიგნთ-საცავთა რიცხვის გამრავლებას ძალიან შეუწყო ხელი მილიონერმა კარნეგიმ, რომელმაც მარტო შარშან წიგნთ-საცავების დასაარსებლად 26 მილიონი მანეთი დაარიგა. ეს თანხა 04 წიგნთ-საცავს შორის იქმნა განაწილებული; ნიუ-იორკს ერთი მილიონი მანეთი ერგო. სულ ერთ წელიწადს წიგნთ-საცავზედ დაიხარჯა 32 მილიონი მანეთი. ამ ანგარიშში არ არის ჩათვლილი 114,442 ტომი წიგნი, რომლებიც კერძო კაცებმა შესწირეს წიგნთ-საცავებს.

* * *

მადრიდში ამას წინად გადაიცვალა ცნობილი ესპანიელი მხატვარი ლლუის ალვარეცი. ერთი იმისი სურათი „კარნავალი პრადოში 1880 წელს“ თავის დროზედ 140,000 ფრანკად გაიყიდა.

* * *

გამოფენა იშვიათად იძლევა ხოლმე მოგებას. თითქმის ყველა გამოფენას ზარალი მოსდევს. სრულიად ამერიკის გამოფენა ბუფფალოში, სადაც პრეზიდენტი მაკ-კინლეი იქმნა მოკლული, ზარალით თავდება. როგორც უკვე გამოანგარიშებულია, დეფიციტი 7 მილიონ მანეთს აღემატება თურმე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ მადლობა მოვახსენო ანნა იესეს ასულს ქბ-ნს ცეკვაშვილისას, რომელმაც ქალაქ ფოთში თავისს ნაცნობთა შორის კოტიანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის ასაშენებლად ფულები შეჰკრიბა და გადმომცა. მადლობას მოვახსენებ აგრეთვე შემომწირველთ: ანნა იესეს ასულს ქბ-ნს ცეკვაშვილისას და ბ. დიმიტრი ცეკვაშვილს—სამსამი მან., ბბ-ნთ თეოფანე კინწურეიშვილსა და ალექსი ურუშაძეს—ორ-ორი მან; მასწავლებელს ევსევი ხოფერიას და ბბ. მიხა ესაკიას, ერისთო ქავთარაძეს, ალექსანდრე წურქვავას, მდ. კლემენტოზ ჭანტურაიას, სტეფანე ურუშაძეს, სტეფანე გოგინავას, მელქისედეკ ჩაჩიბაიას, თადეოზ ვ. კეშილავას, ბეჟან თელიას, კ. რუხაძეს, ს. კიღურაძეს, ვლადიმერ ჭელიძეს, მელიტონ გეგელიას, ალექსანდრე ხოფერიას, ბართლომე ურიდიას, ლუკა გვასალიას, ერასტო გუგუნავას, ნიკო ბარკალაიას, აქვსენტი ჩაჩავას, დუტუ მილორავას, ევგენი გაბელიას, კოლია მახარაძესა და ივანე ხორავას—თითო მან.; გაიოზ შონიას, ირაკლი გუგუნავას, მანუჩარ ნორაკიძეს, ფირალოვს, რაჟდენ ბრელიძეს, ნიკო თედორაძეს, ჩაგუ ხოჭოლავას, ალექსი ადანიას, მიხაილ ჭავჭანიძეს, ქრისტინა ფირანას ასულს, არტემ ქორქიას, ანდრია ხოჯოლავას, ბესარიონ ცეცხლაძეს, ალექსი ლომიას, ზალიკა კოკაიას, თეოფანე ძველაიას, გიორგი კალანდარაშვილს, გახუ ძვირიას, ნიკო მაჭავარიანს, სონა ქავთარაძეს, ალექსანდრე იოსელიანს, ევგენი გაბუნიას, ნიკო შავდიას, ვლადიმერ ხეროვასა და გ. ც. დ. ქ.—შ.—ათ-ათი შაური; ლადო შაფათავას სამი აბაზ., ზ. გვალიას, ერმილე ჯიბლაძეს, დუტუ ხარბედიასა და დათა ხოფერიას ორ-ორ აბაზ., სპირიდონ წივწივაძეს, ევგენი ფლიას ექვს-ექვსი შაური; მათე მამფორიას, ივანე X.-სა და ონისიმე მედაშვილს თითო აბაზის შემოწირვისათვის, რაიცა ერთად ორმოც-და-ათს მანეთს შეადგენს.

კოტიანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მზრუნველი ვლადიმერ იესეს ძე

გაგუა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

25 ოქტომბერი.

პეტერბურგი. 25 ოქტომბერს აკურთხეს უდღეურად შობილთათვის ახლად დაარსებული სამოქალაქო ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი პირველია რუსეთში. არის 10 კუვეზი უდღეურთა გასაზდელად, 4 კუვეზი იონის სისტემისაა, უცხოეთიდგან მოტანილი, დანარჩენი ექვსი, ინსტიტუტის გამგის მკურნალის კუბერტის სისტემისა, აქ არის გაკეთებული ინსტიტუტის მოწყობას დასჭირდა ოთხი ათას მანეთამდე.

ბაქო. ბირჟის კომიტეტი და ნავთის მწარმოებელთა უმრავლესობა მოელოდება მიწად-მოქმედების მინისტრის გადაწყვეტას ხელ-ახლად იჯარით ვაჭრობის დანიშვნის შესახებ. აქ არა ჰგონიათ, რომ ვაჭრობა ამ ჟამად იყოს დანიშნული, რადგანაც თითქმის ყველა ქარხნებმა შეაჩერეს ნავთის ჭების თხრა; უფრო უეჭველია, რომ ახალის ვაჭრობის დანიშვნით ადგილები იაფ ფასად დარჩებათ სათადარიგოდ უდიდეს ფირმებს; ამ პირობების გამო მთელს ნავთის წარმოებას ფასი ეკარგება. ბაქოში ამ ჟამად ფულის ნაკლებობა მეტად საგრძნობელია.

ლოძი. აქაურ ბირჟაზე არსდება საარბიტრაჟო კომისია ადგილობრივ მექარხნეთაგან ბამბის ღირსების დასაფასებლად. კომისია იმ გვარივე იქმნება, როგორიც ლივერპულის საარბიტრაჟო კომისიაა.

ხარკოვი. დღეს დაიწყო მოქმედება სამხრეთ რუსეთის მრწველთა მეოცდაექვსე კრებამ სამხრეთის სამთო მმართველობის უფროსის ტაინი სოვეტნიკის ი. ი. ზელენცოვის თავმჯდომარეობით. კრებამ უნდა განიხილოს 14 საკითხი.

კრონშტადტი. ჩრდილოეთ პეტერბურგის საზოგადოების გემი „თავადი გორჩაკოვი“ წავიდა ვლადივოსტოკს. ეს უკანასკნელი გემია პეტერბურგიდგან შორეულ აღმოსავლეთის ნავთსადგურებში გაგზავნილ გემთა შორის.

ლონდონი. აქაურმა გაზეთებმა დაბეჭდეს დეპეშა, მიღებული სიმლადგან 24 ოქტომბრის თარიღით. დეპეშა იუწყება, რომ საზღვარზე ვაზირისებთან მომხდარ შეტაკების ღროს წარსულ ორშაბათს მოკლულია 30 ოფიცერი და სიპაი და დაჭრილია 6.

პეკინი. ბერლინში ჩინეთის დესპანად ნამყოფი დანიშნულ იქმნა გარეშე საქმეთა სამინისტროს ვიცეპრეზიდენტის განსვენებულის გუჩუპენის მოადგილედ.

კონსტანტინოპოლი. ინგლისის საელჩო და პორტა შეთანხმდნენ იემენის საზღვარზე მდებარე სადავო ადგილების გამსაზღვრელ შეერთებულ კომისიის დანიშვნის შესახებ.

პარიჟი. „Echo de Paris“ იუწყება, რომ დელკასსე დაუდებს პორტას გადაწყვეტილს ვადას საფრანგეთის მიერ წარდგენილ ახალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ვადის შემდეგ კალიარს გაეგზავნება ახალი განკარგულება. ყოველ შემთხვევაში კალიარი დიდხანს დაჰყოფს ოსმალეთის წყლებში.

26 ოქტომბერი

პეტერბურგი. დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო სემიპალატის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი კარპოვი.—ვიატკის გუბერნატორი კლინგენბერგი დანიშნულ იქმნა ვლადიმირის გუბერნატორად.—ენისეის ვიცე-გუბერნატორი ხომუტოვი დანიშნულ იქმნა ვიატკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

ფინანსთა მინისტრმა შესაძლებლად სცნო გააუქმოს წინანდელი თავისი განკარგულება (ამა წლის 28 მაისისა) იმის შესახებ, რომ იმ სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებათა ქალალდებს გაყიდვის ნება არ მიეცეთ, რომელთა დაარსებასა ან მართვა-გამგეობაში გერმანიის ქვეშევრდომნი იღებენ მონაწილეობას.

ნიჟნი ნოვგოროდი. ოდესის სასამართლომ სისხლის სამართლის წესით განიხილა საყურადღებო საქმე, „Справочный книжки“-ს გამომცემელი ვინოგრადოვი თეატრის ანტრეპრენერს ნეზლობინს აბრალებდა სამხატვრო ქმნილებათ საკუთრების დარღვევას, რაიცა გამოიხატა იმით, რომ ნეზლობინი თეატრის პროგრამებში ათავსებდა იმ ევარს თეატრის გეგმას, როგორიც ვინოგრადოვის წინად დაბეჭდილი წიგნში იყო მოთავსებული.

პარიჟი. მიტილენიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ ადმირალმა კალიარმა დაიჭირა ადგილობრივი საბაჟოები; წინააღმდეგობა არავის გაუწევიაო.—სახელმწიფოებს გაეგზავნა ნოტა, რომელშიაც საფრანგეთის განზრახვაა გამოთქმული. დღემდე მიღებულ სახელმწიფოთა პასუხებიდგან სჩანს, რომ საფრანგეთის ნოტა ყოველგან თანაგრძნობით იქმნა მიღებული.

კელნი „კელნის გაზეთი“ იუწყება, რომ ბერლინში მყოფმა საფრანგეთის საზღვაო ექსპედიციის შესახებ. განმარტებაში ნათქვამია, რომ „საფრანგეთს სრულიადაც არა აქვს აზრად მიწა ადგილის დაჭერა. ფლოტი გაგზავნილ იქმნა იმ ფულის გასასტუმრებელი გარანტიის მისაღებად, რომელსაც ბევრჯელ დაჰპირდნენ და აგრეთვე მომავალში ოსმალეთის მხრივ საქმის გაჭიანურების ასაცილებლად“.

კონსტანტინეპოლი. პორტამ გუშინ საღამოთი გაუგზავნა საფრანგეთის საელჩოს მრჩეველს ბაპსტნიტა, რომელშიაც აცნობებს, რომ თანხმობაა გამოცხადებული ეკლესიებისა, მონმსტრებისა და სხვა დაწესებულებათა აღდგენის ან შეკეთების შესახებაო. სულ სხვა-და-სხვა ვილაეტში 16 დაწესებულებაა აღსადგენი ან შესაკეთებელი.

პარიპი. ნაშუადღევს მოვიდა ადმირალ კალიარის დეპეშა, მიტილენიდგან გამოგზავნილი და ოსმალეთის ტელეგრაფით გადმოცემული. დეპეშაში მოხსენებულია რა საბაჟო დაწესებულებათა დაჭერის ამბავი, ადმირალი იუწყება, რომ მიტილენში მოვიდნენ „ლიონი“ და „ეპე“ და ესკადრას შეუერთდნენო.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 [illegible] 3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ოქტომბ[illegible] 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 [illegible] 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის [illegible] ლის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამ[illegible] 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩ[illegible] დის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღ[illegible] მოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადი[illegible] დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 [illegible] 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამ[illegible] დის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის [illegible] ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამ[illegible] დის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათ[illegible] ბით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 [illegible] ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 [illegible] (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 [illegible] 2 [illegible]. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამ[illegible] 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 [illegible] 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის [illegible] ლის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის [illegible] ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში შამ[illegible] დის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 [illegible] ლინ 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილ[illegible] ში ჩამოდის დილის 6 ს 47 წ. (7 ს. 45 [illegible]

განცხადება



როიალები



ჰიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.